საქართ. მუშარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მეორე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 400,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 20,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6.
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელი
4 „ 100,000 „
სამგლოვიარო განცხადები
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 464 ოთხშაბათი, მაისის 9 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერმოს“

დღეს კოოპერაცია იპყრობს მთავარ ყურადღებას მეურნეობის ფრონტზედ. დღემდის მას მაინცა და მაინც არ სწყალობდნენ. მენშევიკები უფრო სდევნიდენ და ავიწროებდენ კოოპერაციას, ვიდრე ხელს უწყობდენ მის განვითარებას. თავიდანვე არც ბოლშევიკებმა მიაქციეს სათანადო ყურადღება კოოპერატივებს, თორემ მათი გამოყენება იმ თავითვე საჭირო და მეტად სასარგებლო იყო საბჭოთა მეურნეობაში. კოოპერატიული ბუნების სოციალისტური ელემენტები მეტად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა საბჭოთა მეურნეობაში კოოპერატიული პრინციპების გამოსაყენებლად.

ჩვენში რომ ამას თავის დროზედ მიქცეოდა ყურადღება, ვფიქრობთ „ცეკავშირის“ მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა. ბოლშევიკებმა თითქმის გაკოტრებამდე მიაყვანიეს მის უწინდელ მესვეურებს საქართველოს კოოპერაცია და შემდეგ თვითონ მოჰკიდეს ხელი, მაგრამ მოჰკიდეს, როგორც ეტყობა, სერიოზულად, რომ სდფუძვლიანი ცვლილება შეიტანონ შიგ და ახალ ნიადაგზედ დაყენებით გამოაცოცხლონ კოოპერატიული საქმიანობა.

რაში გამოიხატება ეს ცვლილება? უმთავრესად ყოვლისა იმაში, რომ ნაცვლად ერთიანი მუშათა კოოპერატივისა (ერკოპ) არსდება ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება,— ანუ შემოკლებით **ერმოს** (რუსული ეპო).

რით განსხვავდება ერმოსი ერკოპისაგან? ერკოპის წევრობა არ იყო სავალდებულო და მსურველს შეეძლო რამოდენიმე კოოპერატივში ჩაწერილიყო წევრად, რაც საშუალებას აძლევდა წვრილ გადამყიდველებს კოოპერატივებიდან მიღებული საქონლით ევაჭრა და გაეცალა ის იაფი ნივთებისაგან.

ეხლა ყველა დაქირავებული მუშა და მოსამსახურე ვალდებულია იყოს **ერმოსის** წევრი და ისიც უსათუოდ იმ განყოფილების, რომელიც არსებობს მის საცხოვრებელ რაიონში. სხვა განყოფილება, სხვა კოოპერატივი ამ რაიონში არ შეიძლება გაიხსნას. უწინ კი ერთ და იმავე რაიონში ზოგან ორი სამი და მეტიც კოოპერატივი იყო გახსნილი და ერთი-მეორეს კონკურენციას უწევდენ, როგორც კერძო სავაჭროები. ეს გარემოება კი ხელს უშლიდა კოოპერაციის განვითარებას და სახელს უტეხდა კოოპერატიულ მოძრაობას.

ეხლა კი ერთ რაიონში იქნება მხოლოდ ერთი **ერმოსი** და ამ რაიონის ყველა მუშა-მოსამსახურეს მასთან ექნება საქმე.

გარდა ამისა შემდეგში ადგილი აღარ ექნება კოოპერატიული ძალების და თანხის დაქუცმაცებას. არსებითად იქნება ერთი **ერმოსი** და რაიონებში ექნება განყოფილებები, რომელსაც მონიჭებული უნდა ჰქონდეს საქმისთვის სასარგებლო და აუცილებელი თავისუფლება მოქმედებისა ,მის ფარგლებში საერთო ცენტრის ხელმძღვანელობით. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება აღმშენებლობითი ფრონტის გამაგრება და, თუ სახელმწიფო ჯეროვან დახმარებას გაუწევს ახალ ნიადაგზე მოწყობილ კოოპერაციას, თუ სრული კონტაქტი დამყარდება საბჭოთა სამეურნეო ორგანოებსა და **ერმოსს** შორის, იმ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ბაზარზედ გაბატონებაც და რეგულიატორის როლში გამოსვლა. უამისოდ კი ვერც **ერმოსი** წავა შორს.

ტელეგ-ტელეფონი

საბოტაჟი არ ხუხდება.

ბერლინი. 4 მაისი. ფრანგების მიერ დაჭერილ რურის ოლქის რკინის გზებზე შენიშნულია საბოტაჟის ახალი აქტები.

აფეთქება ესსენში.

ბერლინი. 4 მაისი ესსენის სადგურზე მოხდა დიდი აფეთქება. გაფუჭებულია ტელეგრაფის ყველა მავთულები. აფეთქების აქტი, როგორც ფიქრობენ, მიმართული იყო საფრანგეთის მატარებლის მიმართ, რომელიც იქვე ახლოს მიდიოდა.

კელნის ახლოს აყრილია რკინის გზის ხაზი. ბოროტმოქმედნი ვერ იპოვეს.

იაპონია სრულიად რუსეთის გამოფენაზე

რიგა. 4 მაისი. იაპონიის ხე-ტყის მრეწველთა ჯგუფის წარმომადგენელი ენერგიულ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს იაპონიის სახელმწიფო და კერძო ფირმების მიერ სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

რუსეთ-დანიის ხელშეკრულება.

კოპენჰაგენი. 4 მაისი. „კოპენჰაგენერ ტინდენდეს“ ცნობით, დანიის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ სასარგებლოდ აღიარა რუსეთ-დანიის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

პოლონეთი

ფოში ვარშავაში

პარიზი. 5 მაისი. მარშალი ფოში ვარშავაში ჩამოვიდა და დაესწრო პონიატოვსკის ძეგლის გახსნას. ძეგლის გახსნის შემდეგ ფოშმა გენერალ გალლერს გადასცა „საპატიო ლეგიონის“ დიდი ოფიცრის ჯვარი და შემდეგ ჯარების ალლუმს დაესწრო. ვარშავის მუნიციპალიტეტმა ფოშს ბანკეტი გაუმართა, ბანკეტის დროს მას უწოდეს ვარშავის „საპატიო მოქალაქის“ სახელი.

ანგარიშს აბარებენ მეპატრონეს

ვარშავა. 5 მაისი. გუშინ ფოშის თანდასწრებით, ვარშავაში მოხდა პონიატოვსკის ძეგლის გახსნა. ძეგლის გახსნის შემდეგ გაიმართა პოლონეთის ჯარების ალლუმი. ალლუმი ატარებდა საფრანგეთიდან მიღებული ფულის შესახებ პოლონეთის მთავრობის მიერ ფოშის წინაშე ანგარიშის ჩაბარების ხასიათს. პოლონეთის პრესა დაწვრილებით ახასიათებს მრავალ-რიცხოვან ბანკეტებს ფოშის საპატივცემლოდ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პოლონური მარკა კიდევ უფრო დაეცა.

ახალი ამბავი

— **მტკვრის ადიდება.** უკანასკნელ დღეებში მტკვარი ძალიან ადიდდა, ასე რომ რიყეზე წყალი გადმოვიდა და გაამსო დესიმიონოვის მოედანი. მხოლოდ წუხელის მტკვარმა დაიკლო თითქმის ორ არშინ ნახევრამდე. რიყეზედ მცხოვრებნი შეშინებულნი არიან, რადგანაც წარსული წლის შემოდგომაზე დაც წყალდიდობა იყო და მთელი რიყე თვით 19 თებერვლის ქუჩაც-კი, წყლით იყო დაფარული და მცხოვრებმა დიდი ზარალი იწვნიეს.

— დაკარგულია საბინაო წიგნაკი ნატალია გელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **ბანდიტების დატუსაღება** ქალაქის სისხლის სამართლის მილიციას მოუვიდა ცნობები, რომ მე-10 კომისარიატში რესტორან „ფანტაზიაში“ ქეიფობს ბანდიტების ჯგუფი, რომელიც მოღვაწეობდა ტფილისში, ბათომში, ქუთაისის მაზრაში და რესპუბლიკის სხვა და სხვა ნაწილები, ახდენდა მრავალგვარ ბოროტ-მოქმედებას, მკვლელობას, ცარცვვ-გლეჯას და სხ. მილიციამ აღნიშნულ რესტორანს ალყა შემოარტყა. ბანდიტების მეთაურმა შალვა გაბუნიამ წინააღმდეგობის გაწევა განიზრახა, მაგრამ იძულებული გახდა სხვებთან ერთად დაეყარა იარაღი. სულ დატუსაღებულია 8 ბანდიტი. მათი საქმე გადაცემული იქნება უმაღლეს რევტრიბუნალში გასარჩევად. თვით რესტორანი „ფანტაზია“ დაბეჭდილია და მისი პატრონი დატუსაღებულია, როგორც ბანდიტების დამმალავი.

— **ქუჩის ბავშები.** აპრილის თვის განმავლობაში მცირე წლოვან შემნახველ სახლში შემოვიდა 54 ბავში, გავიდა 45. პირველ მაისს ითვლებოდა 101 კაცი, აქედან 59 ვაჟი და 42 ქალი. ავანტყოფი ბავში გაიგზავნა სამკურნალოში 14.

— **ბაქოს იარმუკაზე.** ამიერ-კავკასიის სავაჭრო კომისარიატმა გაგზავნა ბაქოს იარმუკაზე 7000 ფუთი შაქარი. აგრეთვე ს. თეთრი საყდრიდან იგზავნება 50 ათასი შაქრის ფხვნილი.

— **ჭლექთან ბრძოლა.** 12 და 13 მაისს ქალ. ტფილისში დაიწყება ყულაბებით შეგროვება შემოწირულებ) ჭლექთან საბრძოლველ ორგანიზაციის სასარგებლოთ. თეატრების და კინოების შემოსავლის განსაზღვრული პროცენტი გადაიდება ამ საქმიხათვის. ორშაბათს, 14 მაისს, ყველა თეატრი და კინო იმუშავებს ჭლექთან საბრძოლველ ორგანიზაციების სასარგებლოთ.

— **სავაჭრო-სამრეწველო აღწერა.** 5 მაისიდან დაიწყო სავაჭრო-სამრეწველოების აღწერა. ქალაქი დაყოფილია 6 უბნად. აღწერას ხელმძღვანელობს ცენტრალური საალწერო ბიურო შემდეგი შემადგენლობით: გ. გრიგორიანი, არ. რუხაძე და ა. გონჩაროვა, აღწერა დამთავრდება ამ დღეებში.

— **კოჯრის აგარაკები.** კოჯრის აგარაკები, რომელიც ტფილისის აღმასკომის განკარგულებაში იმყოფება საზაფხულოთ გაიცემა იჯარით. აგარაკები დაყოფილია 3 კატეგორიათ. პირველი კატეგორიის კვადრატული არშინი ღირს 80 კაპეიკი ოქროთი, მეორე—60 კაპეიკი და მესამე—40 კაპეიკი. პროფკავშირთა წევრთათვის მიეცემათ აგრეთვე საჭირო ავეჯეულობა და ქირის მიცემის დროსაც შეღავათი. უკანასკნელი ვადა განცხადებების შეტანისა დანიშნულია 1 ივნისი.

— **საბავშო სახლები.** ქალაქის საბავშო სახლები გადატანილ იქნება საზაფხულოთ კოჯორში.

— **პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.** პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საბჭომ დაადგინა: მიმდინარე წელს ინსტიტუტის სტუდენტთა რიცხვი განისაზღვროს 750-თ. მიღების დროს დაწესებული იქნება განმეორებითი გამოცდები ყველა ფაკულტეტებზე, რომლებზედაც დაწესებულია 4 წლის კურსი.

— **ია კარგარეთლის სახელობის ქუჩა.** ტფილისის აღმასკომის დადგენილებით ბაღის ქუჩას დაერქვა ია კარგარეთლის ქუჩა.

— **საჩუქრის მაგიერ.** ტფილისის აღმასკომმა გიგო იორდანიშვილს და მსახიობ ტუგანოვს გადასცა საჩუქრის მაგიერი ოც-ოცდა ათი მილიონი მანეთი.

— **განსაკუთრებრივ ხიმინდი.** მთავრობა ყოველნაირად დახმარებას უწევს ღარიბ გლეხობას, რათა დროზე მიაწოდოს საჭირო თესლი.

— **წრეულს მოსავალი კარგი იქნება.** თანახმად მიღებულ ოფიციალურ ცნობებით საქართველოში მოსავალს კარგი პირი უჩანს.

— **საფონდო ბირჟა.** ოფიციალური კურსი, 8 მაისი, რუსის ოქროს თუმნიანი—14,990 ათასი; ჩერვონეცი—8,500 ათასი; გირვანქა სტერლინგი— ეფექტივი—9,050 ათასი, ჩეკი—7900 ათასი; დოლარი ეფექტივი—2,050 ათასი, ჩეკი—1,850 ათასი; ოსმალური ქაღალდის ლირა—1,350 ათასი; იტალიური ლირა—88 ათასი; ფრანკი—112 ათასი მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით.

მყიდველნი—ოქროს თუმნიანი—14,900 ათასი ჩერვონეცი—8,450 ათასი; სტერლინგი ეფექტიკი—9 მილიონი, ჩეკი—7875; დოლარი ეფექტიკი—2,025 ათასი, ჩეკი—1,800 ათასი, ოსმალური ლირა—1,340 ათასი მანეთი.

საქართველოს სიძველეთა რეევაკუაციის შესახებ.

ვინაიდან საქართველოს სიძველეთა რეევაკუაციის საკითხი საბოლოოდ მოგვარდა, საჭიროდ ვთვლით ვაცნობოთ მკითხველს, თუ რა მდგომარეობაშია იგი პრაქტიკულად განხორციელების მხრივ.

საკითხი რუსეთიდან საქართველოს სიძველეთა რეევაკუაციის შესახებ ჩვენს მთავრობაში პირველად დაისვა და დადებითად გადაწყდა 1922 წლის 14 თებერვალს, რომლის ძალითაც განათლების კომისარიატმა სათანადო შუამდგომლობა აღძრა რუს. ს. ფ. ს. რ. ხელისუფლების წინაშე—გადმოეცა ჩვენთვის ყველა ის განძი, რაც საუკუნეთა განმავლობაში გაუზიდავთ საქართველოდან და რასაც ქვეყნისათვის ფასდაუდებელი ისტორიულ-კულტურული ღირებულება აქვს.

ეს განძები ორი კატეგორისაა:

ა) სამუზეუმო კოლექციები და არქივები, იმპერიალისტურ ომის დროს რომ ჩრდილოეთ კავკასიაში გაიტანეს.

ბ) სიძველეთა და ხელოვნების ძეგლები, რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრების შემდგომ საქართველოდან გაზიდული.

პირველ კათეგორიის ძეგლთა გადმოტანის შესახებ, ვინაიდან ისინი ყუთებში ჩალაგებთლი იყო და არავითარ წინასწარ მუშაობას არ მოითხოვდა,—რუსეთის მთავრობამ, შუამდგომლობის აღძვრის თანავე დადებითი გადაწყვეტილება გამოიტანა მათი საქართველოში დაბრუნების შესახებ, მაგრამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ძნელდებოდა გადმოსაზიდ საშუალებათა უქონლობის გამო, სანამ რ. ს. ფ. ს. რ. გზათა კომისრის **ძერჟინსკის** განკარგულების თანახმად რკინის გზამ შეღავათიან პირობებში არ დაგვითმო საჭირო ვაგონები.

ამის შემდგომ ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნილ იქმნა რესპუბლიკის მთავარ არქივის გამგე **ს. კაკაბაძე,** რომელმაც მიმოიარა ეკატერინოდარი, კრაპოტკინი, სტავროპოლი, პიატიგორსკი, გიორგიევსკი, კავკავი და მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, შესანიშნავად შეასრულა მასზე დაკისრებული მისია.

აღნიშნული სიმდიდრე, 14 ვაგონით, დღეს უკვე ტფილისშია ჩამოტანილი და საქართველოს ცენტრარქივის შენობაშია მოთავსებული, სადაც წარმოებს მათი სისტემაში მოყვანა.

რას შეიცავს ეს სიმდიდრე თავის შინაარსით, რა მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი კულტურის ისტორიისათვის.

უპირველესად ყოვლისა აქ აღსანიშნავია:

1. ყ. ნამესტნიკის კანცელიარიის არქივი 1795—1910 წლ. 45 სხვადასხვა დაწესებულების.

2) სამიჯნაო განყოფილების პლანშეტები.

3) მიწათ-მოქმედებისა და მიწის მომწყობის სამმართველოს არქივები (დიდი ნაწილი დაღუპულა).

4) სახაზინო პალატის არქივი.

5) სასწავლო ოლქის არქივი.

6) ყ. სამხედრო-საისტორიო მუზეუმი და სხ. და სხ.

ზემოხსენებულ საარქივო მასალებში მრავლად გაბნეული იყო უძველესი სიგელ-გუჯარები, რომელთა უმრავლესობის შესახებაც მეცნიერებაში არავითარი ცნობა არ გვქონდა.

სამწუხაროდ დიდი ნაწილი სიგელ-გუჯართა დაკარგულა და მთავარ არქივის გამგის ისტორიკოსის **ს. კაკაბაძის** მიერ მათი გადმოწერილი პირები რომ არ გვქონდეს (ს. კაკაბაძემ მოახერხა მათი გასინჯვა და გადმოწერა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, როდესაც ხსენებული არქივები ტფილისში იყო მეცნიერებასა და კერძოდ ქართულ მეტყველებას გამოუსწორებელი ზიანი მიადგებოდა.

დამოუკიდებლად ამაზე თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საარქივო მასალებით ჩვენში არავინ არ სარგებლობდა და არც შეეძლო სარგებლობა და არ უგულებელვყოფთ იმასაც, რომ თითო-ოროლა გამოცემული მასალა განგებ ძალზე დამახინჯებულია, ცხადი იქნება, თუ რა კულტურულ-მეცხიერული ღირებულება აქვთ ჩვენი ქვეყნისა და მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის დასახლებულ განძებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ ჩვენი ქვეყნის წარსულის შემეცნების რევიზია მოხდა და ეს აუცილებელია, საჭირო და აუცილებელი მასალები იმ რევიზიისათვის ჩამოტანილ არქივებში ბლომად უნდა მოვიკითხოთ.

რაც შეეხება მეორე კატეგორიის სიძველეთ, ვინაიდან ისინი სხვადასხვა დროს გაზიდული, მოსკოვსა და პეტრეს ქალაქის სხვადასხვა საგანძურში იყვნენ მოთავსებულნი. საჭირო შეიქმნა ხანგრძლივი წინასწარი მუშაობა მათი ამორჩენისა და რეგისტრაციისათვის, რომლის შესრულებაც იტვირთა ამ მიზნით ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში გამგზავრებულმა კომისიამ (დ. ჯგუშია, პროფ. კეკელიძე, ვ. ინგოროყვა, გუკ. ბერიძე).

მუშაობის დროს გამოირკვა, რომ პეტრეს ქალაქის საგანძურებში ისეთი ძველი ხელთნაწერი, რომლის გადმოცემაც ქართულ მეცნიერების თვალსაზრისით არაა აუცილებელი.

ამ გარემოებამ გამოიწვია რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა შეერთებული ის დიდი ღვაწლი, რუსეთის ქართულ მეტყველების სკოლამ ქართულ მეცნიერებას რომ დასდო და გაითვალისწინა, რა, რომ მიუხედავათ ქართულმეტყველების ცენტრის ტფილისში გადატანისა, პეტრეს ქალაქის აღმოსავლეთ სკოლის არსებობას მომავალშიაც დიდი კულტურულ მეცნიერული ღირებულება ექნება, დაადგინა:

1) უნიკალურ ხასიათის ყველა საგანი, რომელიც საქართველოდანაა გატანილი, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს საქართველოს, გარდა იმ ნივთებისა, რომელზედაც ამჟამად წარმოებს გამოკვლევა; ესენი დროებით, კომისიის მიერ განსაზღვრულ დრომდე, რჩება პეტრეს ქალაქში.

2) რაიცა შეეხება არა უნიკალურ ხასიათის ნივთებს, ისინი განაწილებულ იქნას ისე, რომ პეტრეს ქალაქის ქართულ მეტყველების სკოლას კვალად შეეძლოს სამეცნიერო მუშაობის წარმოება.

3) ამასთანავე ყველა იმ უნიკუმებიდან, რომელიც საქართველოს უბრუნდება გადაღებულ უნდა იქნეს ფოტოგრაფიული სურათი რუსეთში დასაცავად, ამგვარადვე, რუსეთში დატოვებულ ხელნაწერთა ფოტოგრაფიები გადაეცეს საქართველოს.

4. ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად საქართველოდან წაგზავნილ იქნენ სრულუფლებიან კომისიაში (ჩვენგან მონაწილეობას იღებდა განათლების კომისარიატის აკად. წარმომადგენელი დ. ჯგუშია). ექსპერტებად პროფ. კ. კეკელიძე და აკ. შანიძე.

კომისია ეწეოდა წინასწარ მუშაობას იანვარში, თებერვალში და მარტში. ამ ხნის განმავლობაში შეადგინეს ხელნაწერთა კოლექციების ნუსხები, დაჰყვეს ისინი კატეგორიებად და თავისი დასკვნა წარუდგინეს სრულუფლებიან კომისიას, რომელმაც ა. წ. 20 მარტს საბოლოოდ გადასწყვიტა სიძველეთა ბედი.

დადგენილების თანაამად გადმოგვეცა 308 ხელნაწერი, რომელთა შორისაც მოიპოვება შესანიშნავი, ფასდაუდებელ ღირებულების ძეგლები მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მე-19 საუკუნის დასაწყისამდე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პაპირუსის და ეტრატის ხელნაწერები მე-8—12 საუკ. რომელიც უამრავ მასალას იძლევიან ენის სიტყვიერებისა და პოლიგრაფიისათვის.

რა გვაქვს ამ სიმდიდრეთაგან დღეს მიღებული და როდის ჩამოგვივიდა საბოლოოდ ყველა.

დღეს დღეობით მიღებულია:

1) 1783 წლის ტრაქტატი.

2) იშვიათი ხელნაწერი ვეფხის ტყაოსანისა.

3) საქართველოს უკანასკნელ მეფეთა და ხელისუფალთა მხატვრულად შესრულებული სურათები.

4) ძველი იშვიათი ხელოვნების ქართული დროშა და ფარი.

5) სამეფო ტახტი.

6) რამდენიმე ხელნაწერი.

გამოღებულია და პეტროგრადის სიძველეთაგან ერთად მივიღებთ გვირგვინს და სხვა საისტორიო მნიშვნელობის ნივთებს, რაიც მოსკოვში ინახება.

გამოკრეფილია დადგენილების თანახმად გადმოცემული პეტროგრადის განძი და მაისის პირველ რიცხვებში ტფილისში იქნება. ცოტათი დაგვიანება აიხსნება ზოგიერთ ძვირფას ხელნაწერთ ფოტოგრაფიულად გადაღებით.

მიღებულია თანხმობა უკრაინის ს. კ. საბჭოსაგან უკრაინის საგანძურებში დაცულ ქართულ სიძველეთა გადმოცემის შესახებ.

ამრიგად ქართულ მეცნიერებისათვის ეგოდენ მნიშვნელოვანი საქმე, საბჭოთა ხელისუფლების წყალობით მოგვარებული, დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს და რაც უფრო აღსანიშნავია, კულტურულ სიმდიდრეთა გადმოცემა ისე მოხდა, რომ არც რუსეთის ქართულ მეტყველების ბუდე ინგრევა, და საქართველოს მეცნიერებასაც ფართო ასპარეზი ეშლება თავის სამეცნიერო საკულტურო მუშაობისათვის.

თანამედროვე გერმანია.

მეტად შემაძრწუნებელი და ტრაგიულ სურათს წარმოადგენს თანამედროვე გერმანია. ეს, ერთ დროს უძლიერესი კაპიტალისტური ქვეყანა მაღალი კულტურისა, დღეს მთელრიგ მოვლენათა გამო მოგვაგონებს საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას 1919—20 წლებში; შიმშილი და მისი შედეგები, ქურდობა, რბევა, გაუგონარი მექრთამეობა,—ყველა ეს ტიპიური ნიშნებია ამ ქვეყნის დღევანდელი ყოფისა. მუშათა რეალური სამუშაო ხელფასი უაღრესად მინიმალურია; მოსამსახურენი და ინტელიგენტური პროფესიის პირნი შიმშილით იხოცებიან; ახალგაზრდობა წარმოადგენს დაავათმყოფებულ, დაუძლურებულ მასას, რომელზეც აღბეჭდილი არის აპატია და უიმედობა. ხალხი ბოროტი, მოღუშული, უხეში შეიქმნა და რაც მთავარია მშიერი არის. რძე, კარაქი, კვერცხი, შაქარი,—იშვიათი საგნები შეიქმნა და მიუწვდომელი; ამათი შოვნა ნატურალური სახით მეტად ძნელი არის დიდი თანხის გაღებითაც კი. პური, შაქარი, რძე და ნახშირი ბარათებით რიგდება დაკლებულ ფასებში, მხოლოდ მეტად განსაზღრული რაოდენობისა.

მთელი ხელოვნება და მეცნიერება გერმანიაში იქით არის მიმართული, რათა შესცვალონ კვების საგნები, ფეხსაცმელი და ტანთსაცმელი სურროგატებით, რომლებიც არც მკვებავები არიან და არც მთფობელი. ტეხნიკისა და მეცნიერების საშუალებით გერმანელებმა ამ მხრივ მეტად დიდ შედეგებს მიაღწიეს. ძალიან დიდი დრო არის საჭირო იმისათვის, რომ დეტალურათ შეისწავლოს ადამიანმა ეს გრანდიოზული მეცნიერული მანქანა, რომელიც იმისათვის მუშაობს, რომ კუჭი მოატყუოს.

რკინის გზა, ფოსტა, ტელეგრაფი, საბინაო განყოფილება, მთელი სამეურნეო-ადმინისტრატიული ცხოვრება გაჟღენთილი არის წარმოუდგენელი მექრთამეობით. სასტუმროებში გამოკრული არის განცხადებები, რომლებიც აფრთხილებენ სტუმრებს, რომ ამ საშინელ დროს, როდესაც დანაშაულობებმა მასსიური ხასიათი მიიღეს, სასტუმროები არ აგებენ პასუხს ნივთის მთლიანათ შენახვაში, რომელთაც სტუმრები ნომრებში სტოვებენ. თეატრებშიც მსგავსივე გაფრთხილება არის და გამოცხადებულია, რომ ნივთის პასუხისმგებლობას ძალიან მცირე რაოდენობით კისრულობენ. გაზეთებში ყოველდღე ამოიკითხავთ ცნობებს თვითმკვლელობების შესახებ და აგრეთვე შიმშილით გარდაცვლილთა შესახებ. საავატყოფოებში ავათმყოფები უფრო მეტად შიმშილით იხოცებიან, ვიდრე ავადმყოფობით.

მეტად არაჩვეულებრივ განსხვავებას აქვს ადგილი ადგილობრივ მცხოვრებსა და უცხოელის მდგომარეობას და ცხოვრების პირობებს შორის; უცხოელი იმავე ბინასა და ნომერში იხდის გაცილებით მეტს, ვიდრე გერმანელი; ასევე არის მაღაზიებში, თეატრებში, მუზეუმებში.

საფინანსო, სავაჭრო, სამრეწველო და ინტელიგენტური წრეები,—ყველანი უიმედოთ არიან განწყობილნი; არ არის არავითარი პერსპექტივა, არავითარი იმედი კეთილი მომავლისა.

რურის ოლქი, რომელიც უკანასკნელ წლებში გიგანტურათ გაიზარდა, დღეს რაღაც თეატრალურ დეკარაციის მსგავსი არის: მთელი ტყე არის ფაბრიკების მილებისა და ათასგვარად გადახლართული რკინის გზის ხაზები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიდიან. ადამიანთა საცხოვრებელი სახლები, საბრალოთ გამოიყურებიან უზარმაზარ ქარხნის კორპუსებთან შედარებით. დღეს კი ეს უდიდესი წყარო ნახშირისა დასავლეთ ევროპაში,—უდაბნოს მსგავსია. იქ, სადაც ყოველდღიურათ 900 მატარებელი გადიოდა, ამ ჟამათ მხოლოდ რამოდენიმე ერთეული დადის და ისინიც კუს ნაბიჯით დაიარებიან და უმთავრესად საოკუპაციო ჯარები გადაყავთ.

ეკონომიური ცხოვრება

უცხოეთი.

— **შვეიცარიის საგარეო ვაჭრობა.** წინა წლებთან შედარებით შვეიცარიის სავაჭრო ბალანსი 1922 წელს კიდევ უფრო პასიური გახდა. ეს გამოწვეული არის უმთავრესად საქონლის ფასების დაცემით, რომელიც დაიწყო 1921 წელს, მთელს მსოფლიოში (გარდა მცირე გამონაკლისისა).

— **შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა.** შეერთებული შტატების ვაჭრობა, თანახმად ამერიკის გაზეთების ცნობებისა, შემდეგ სურათს წარმოადგენს (მილიონებში :

	გატანა	შემოტანა	შატანის ალმატება შემოტანაზე.
1913 წ.	2.484	1.792	691
1917 წ.	6.233	2.952	3.281
1920 წ.	8.228	5.728	2.949
1921 წ.	4.485	2.509	1.975
1922 წ.	3.834	3.116	718

საერთო მასსა გატანილ ფოლადის ფაბრიკატებისა და აგრეთვე ნედლი რკინისა და ფოლადის 1922 წელს შეადგენს ფასეულობას 188 მილ. დოლ. წინააღმდეგ 1921 წ. 323 მილ. დ. მთავარი მყიდველები არიან იაპონია, კანადა, კუბა და მექსიკა.

— **გერმანიის საფინანსო მდგომარეობა.** უკანასკნელ ხანებში, გერმანიის შინაური სახელმწიფო დავალიანება არაჩვეულებრივათ იზრდება, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო ხაზინის დროებით მოწმობების ინფოლიაციაში. ახლად გამოქვეყნებულ, ფინანსთა მინისტრის ანგარიშებიდან შემდეგი სჩანს: 1922 წლის 31 დეკემბრისათვის ვალის მთელი ჯამი 2.092.821.000.000 მარკას შეადგენდა. 31 იანვრისათვის ის გაიზარდა 2.781.303.000.000 მარტამდე. საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის, ე. ი. 31 მარტისათვის ის გამოიხატებოდა 6.601.142.000.000 მარ. დავალიანების ამ ციფრს უნდა დაემატოს კიდევ სხვა საფინანსო ვალდებულებანი, რომელშიც შედის 1.388.000.000.000 მარკა მოსახლეობის პურათ უზრუნველყოფის მიზნისათვის. საბოლოო ჯამში დავალიანება გამოიხატება უდიდეს ციფრში 8.273.708.000.000 მარ. [illegible] ტის განმავლობაში სახელმწიფო [illegible] მაგი გახდა, რადგან [illegible] გენდა ჯერ კიდევ 4.628.248.000.000 მარკას. რაც შეეხება ბანკნოტების ბრუნვას, აქ პირუკუ მოვლენას აქვს ადგილი და ემისიის რაოდენობა მცირდება. ია დრის როდესაც მარტის უკანასკნელ 2 კვირეში ბანკნოტების გამოშვება შეადგენდა 562.000.000.000 და 683.000.000.000 მარკას, 1—7 აპრილამდე გამოშვებულ იქნა 106.200.000.000 მარკის ახალი ბანკნოტა. ამავე დროს სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგი უცვლელი რჩება; საერთო ლითონის მარაგი ბანკისა კი გაიზარდა 2.000.000.000 მარ., რაც აიხსნება ალიუმინის მანეთების გამოშვებით. სახელმწიფო დავალიანების ასეთი ზრდის მიზეზები დამარხული არის უმნიშვნელო სახელმწიფო შემოსავალსა, კატასტროფიულათ მოზარდ ხარჯებსა და სხ. თუ კი რურის დაკავებით გერმანეთის მთავრობა განთავისუფლდა სარეპარაციო ხარჯებიდან, სამაგიეროთ ის ახლა მეტად დიდ ხარჯებს ეწევა რურის მრეწველობის ფინანსიურ დახმარებისათვის, იქაურ მუშების დახმარების მიზნით.

— **უმუშევრობა.** შუა აპრილისათვის უმ შევართა რიცხვი ბერლინში შეადგენდა 96 ათ ადამიანს.

პარტიაში

ტფილისი. კვირას, ადგილობრივ ცენტრალურ პარტბიუროში ამხ. **პლატონ კვირკველიამ** წაიკითხა მეტად საინტერესო მოხსენება შემდეგ თემაზე: „კომპარტიის მეთორმეტე ყრილობა და ქართველი ხალხი“. აუდიტორია სავსე იყო ამხანაგებით. თავმჯდომარეობდა 4 რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ, გ. ხოფერია.

ამხ. მომხსენებელი სერიოზულად და ლოღიკურად მიუდგა თემას, და უნდა აღინიშნოს, რომ საკმაო სიცხადით ნათელყო საკითხის დამახასიათებელი მომენტები. ამხანაგის აზრით, რუსეთის რევოლიუციამდე, განსაკუთრებით,—ოქტომბრის გადატრიალებამდე, საქართველოში არ იყო არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი თუ პარტია, რომელიც წინააღმდეგი ყოფილიყო რუსეთის ორიენტაციის. მენშევიკური პარტიის ლიდერი ნ. ჟორდანია და ეროვნულ-დემოკრატების მეთაური ნ. ნიკოლაძე, რომლებიც დღეს ანტანტის ორიენტაციას ჰქადაგებენ თავგამოდებით და სრული შეგნებით იცავდენ რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირების აუცილებელ საჭიროებას.

ოქტომბრის რევოლიუციას დიდის ექსტაზით და აღტაცებით შეეგება დაჩაგრული ერები და ეროვნული პარტიები. აღსანიშნავია ის, რომ მხოლოდ ს. დემოკრატები შერჩენ ძველ პოზიციას და შეებრძოლენ ოქტომბრის რევოლიუციას.

რატომ იზიდავდა ეროვნულ სოციალისტურ პარტიებსა და განაპირა ქვეყნებს ოქტომბრის გადატრიალება? უმთავრესად იმიტომ, რომ კერენსკისა და წერეთლის ბურჟუაზიულ კოალიციონური მთავრობის ლიკვიდაცია უსათუოდ ახალ გზაზე დააყენებდა ჩაგრულ ხალხების ეროვნულ თავისუფლების საქმეს.

თუ ჩვენში, საქართველოში, 25 თებერვლ გადატრიალების ეროვნული ტკივილები დაჰყვა თ ნაწილობრივად ეს იმითაც აიხსნება, რომ საბჭო ხელისუფლება ჩვენში დამყარდა გარეშე ძალის შუალებით და დახმარებით.

ქართველი ხალხი მიუხედავათ ამისა თან თან რწმუნდებოდა იმაში, რომ საბჭოთა ხელი ფლება საქ. კომუნისტური პარტია არ იყო ის ძალა, რომელიც ძირს გამოუთხრიდა, შელახავ შებილწავდა საკუთარ ეროვნულ „მე“-ს, ეროვნ ინდივიდუალობას. ამატომ იგი დაეწაფა საბჭ რეჟიმს და ჩაება ქვეყნის აღმშენებლობის ფ ხულში. მშრომელი ხალხი დაუახლოვდა მთავრო

უეჭველია, რომ ჩვენ დიდად გვახარებს ბ ჟუაზიულ კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობ შემადგენლობის ხშირი ცვლილებები. კაბინ კრიზისები უსათუოდ შინაურ მდგომარეობის წვისა და არევ დარევის გამომხატველია. ამავე დ უნდა გვაფიქრებდეს ის ცვლილებები მთავრობ რომელიც ხდებოდა ჩვენში დღემდე. ყოველივე იწვევდა ბუნებრივად საზოგადოებრივ აზროვნ აფორიაქებას და დიდს მითქმა-მოთქმას.

ასეთ პირობებში იქმნა მოწვეული რუს კომპარტიის მე-XII ყრილობა. რა თქმა უნდა, ლობამაც მიიპყრო საქართველოს ხალხის ყუ ლება და გამოიწვია საზოგადოებრივ წრეებში დი ინტერესი. ქართველი გლეხი და მუშა, აგრ ყოველი გულწრფელი ქართველი ინტელიგენტი ლის ფანცქალით ადევნებდა თვალ-ყურს მოსკ ამბებს, კომპარტიის ყრილობის მუშაობას. თუ შინ და გუშინ წინ ანტანტით იყვნენ დაინტე ბული, ანტანტისკენ ჰქონდათ თვალი მიპყრო

თამარ მეფის მეხოტბენი

(გაგრძელება *)

10. აღმშენებლისთვის საჭირო არ იყო ავტორს გაეხსენებინა მისი ჩამომავლობა „იერეს ძირით“ (16), ღვთის მიერ ბაგრატიონისათვის დადებული აღთქმა (5) მის ტახტზე დასმა ზევსურად (ხ. ს), ვინაითგან მას ტახტი მიეკუთნა არა ვისიმე მოწვევით გინა ზევსურად დასმით ანუ უფლის აღთქმით, არამედ მხოლოდ კანონიერ მემკვიდრეობით, ხოლო დავით სოსლანმა კი მემკვიდრეობა მიიღო შემთხვევით, სწორეთ „ზევსურად“, თამარის მოწვევით, რადგან ჩამომავლობითაც იყო ბაგრატიონი (ქ. ცხ. 291 . ამიტომვე ამბობს შავთელი (27 ; „ისაკებრ პირმშოს კურთხევით, ნიშობ მელიქსედეკის ლოცვით ზედა-ბთით. ესა ვისითა ესავისითა მაუწყონ მთქმელთა, თუცა რათ ვურთით?“.

ცხადია, ავტორს აქ იმის თქმა უნდა. რომ დავითი თამარს დაელოცათო ტახტი ამ ტახტის კანონიერ მემკვიდრის დემეტრეს მოშორებით, სწორეთ ისე, როგორც სრულიად შემთხვევით ესავის საუფროსო უფლება გადაელოცა ისაკს.

დავითის ზევსური დასმა კი ასე იყო:

შავთელი 79: „ძეგლად შჯულისად მართლმსაჯულისად დავით მიწოდა თავისად მკვიდრობა“.

საქარ. 100: თამარი „ურჩთა მოგვიდებს ცითა ნაწოდებს: დავითს უწოდა მეფეთა ქებად“.

ქ. ცხოვრებითაც (გვ. 792) თამარიც სწორეთ ეძებდა „ვინმე მკვიდრს საყდრისა თვისისა“, და შეირთა კიდეც ეს „მკვიდრი“ (იქვე .

11. მაგრამ განა ღირდა აღძვრა კითხვისა, თუ ვის აქებს შავთელი, აღმაშენებელ თუ სოსლანს, როდესაც ავტორი თავის გმირს არა ერთხელ ასახელებს **მოსად** და აღმაშენებელი კი არასდროს არ ყოფილა ოსი! 35 ხანაში შავთელი მიჰმართავს თამარს: „მოსიმ ახოსა მოსიმახოსა მახვილი თქვენი მტერთა მწყობლი“, ე. თ. ოსმა (—მოსიმ) აილოს მოსიმართოს მახვილი თქვენი (თამარის) მტერთა გამანადგურებელი.

ეს ნათელი აზრი შავთელის გამომცხადებელს აღმაშენებლის მაქებრად ასრე გაუწყვია:

მოსიმახოსა
მოს იმახოსა
მახვილი თქვენი
მტერთა მწყობელი“.

ჩვენ ვერ გაგვიგია, რაა ეს „მოსიმახოსა მოს იმახოსა“ და ვერც მიმხვდარვართ, რაა ეს „მოს იმახოსა“.

რაც შეეხება ფრაზას: „მოსიმ (ოსმა *) ახოსა მოსიმახოსა მაფილი თქვენი (=თამარის) მტერია მწყობელი“. აქ მოსიმახოსად იგულისხმება ებრაელი მხედარი, რომელიც მაკედონელის ალექსანდრეს ჯარში მოისრობითა და ქველობით ყველას სჯობნიდა.

სწორედ ამ მოსამახოსს ადარებს მემატიანეც დავით სოსლანს. ამბობს (ქ. ცხ. 305; მარიამ დედ. ნუსხა 464): „ალიჰურვა და შეიჰურვა მეფე (დავით სოსლანი), შეჯდა ზერდაგსა, რომელ სახელ-განთქმულობასათვის ეყიდნა ვახტანგ საჩინელისაგან, ფასად ებოძა ციხე და სოფელი, რომელ არიან ჰარმახი ამარ მოყმე, ალაღებული ჰოროლიამან შეირტყა მახვილი და კაპარჭი მოსიმახოს უცთომელმან“.

ასეთი დადარება აღმაშენებლისთვის შეუფერებელია, ვინაითგან მის მემატიანეს სიტყვით (გვ. 254) იგი, აღმაშენებელი დარი არ იყოო მოსამახოს=მოსამახოსა, ებრაელისა, არც აქილევის, არც ბარამ—ჯურის, ვინაითგან „ჭეშმარიტად ვერცა ერთი ამათგანი შეუსწორებდაო ამას“ (აღმაშენებელის).

კვლავ ოსად მოხსენებულია სოსლან დავითი 24 ხანაშიაც: „ქველად ჰურით-ა (არს), რისხვით ჰერით—ა (არს) ელი ამ ოსით“.

12. რეალიები „აბდულმესიანის“ დასათარიღებლად.

ა. ხანა 33: „თვით სულ იმონა კიდე **ლიმონა**“ 1204 წელს თამარის ლაშქარმა დაიპყრა ლაზია, ტრაპიზონი, **ლიმონი**, სამირონი.“ (ქ. ცხ. 325; „ტრაპიზონის ქრონიკა“ პანარეტისა გვ. 19—20).

ბ. ხანა 16: „ა ხალიფასი ახალი ფასი მრავლად მოერთმის თავთა მონებად“

ხალიფას დახარხვა მოჰყვა 1195 წელს (იხ. ჩვენი გამოც. „აბდულ მესიანი“-ს განმარტებაში გვ. 41).

„თამარიანში“ ასეა (ხანები 94—95): „ელტვის ხალიფა“, იტყვის შარიფა: „აწ გაგვიცუდდა შჯულის-დებანი. თარშით და დალბით ეგვიპტ-ალაბით სძლვენ (თამარს) ნიჭად თავთა და მონებანი“. ქ. ცხ. ამბობს (გვ. 291): „ერაყამდის ქვემოდ, მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის-კერძ მარაღამდის და თვით იგი ხალიფა შეშინებული და მოჰაჯე“.

გ. ხანა 35: „ხარ კეისარი. ხარკე, ის არი სიმდიდრით ლალი ჯიმშედს მფლობელი.. ჯალაცა სეუქვევ..“

ჯიმშედად იწოდება სპარსეთი, ხოლო სპარსეთში ქართველთა ჯარი შევიდა 1210 წელს. ქართველებმა აიღეს ყაზმინი, ჯურჯანი და ვერ წინააღუდგნენ მათ ვერც ხორასნის სულთანი, ვერც ერაყისა და ვერც რომელიმე მუნებური თემი. დაბრუნდნენ დიმის დავლით (ქ. ცხ. 330—331).

დ. ხანა 79: „მოლიდთა ცუდ-ჰყვეს ბომონათ მოთხრობა“ (საქართველოში).

მოლიდები პირველად გვხვდებიან თამარის ცხოვრებაში (ქ. ცხ. 301). იგინი მიპარვით ქლეტდნენ მათ მოწინააღმდეგე ხელმწიფეებს. ამავე მიზნით მოლიდთა ჯალათი მოვიდა საქართველოში არა ადრე 1210 წლისა, როდესაც სპარსეთს გალაშქრებულ ქართველებმა დაარბიეს მათ სამთავროს ყაზმინ-ალამუთის არე-მარე. სჩანს, საქართველოს მოსულ მოლიდთ ჯავრის ამოყრა სწადდათ.

13. ხანა 31: „გორგასლიან-დავითიანი დროშა იახლოს მსხვრელად მტერთათვის“.

დროშას რომელიმე მეფის სახელი ენათლება არა მას მეფობას დასაწყისში, არამედ მის—მიერ ამ დროშის სვიანად და გმირულად ხმარების შემდეგ, ე. ი. ამა თუ იმ გმირ მეფის ცხოვრების დასასრულიდან. მაშასადამე, გორგასლიანი დროშა დავითიანადაც გახდებოდა არა აღმაშენებლის მეფობაში, არამედ მას შემდეგ თაობებში. ამიტომაც ეს ქართული ძლევა-მოსილი დროშა თამარის ცხოვრებაში უკვე იწოდება გორგასლიან-დავითი (ქ-ცხ. 329).

ყველა აღნიშნული ნათელზე უნათლეს ძ რომ შავთელი შეაქებს არა აღმშენებელს, არ თამარს მის მიჯნურ დავითითურთ.

14. 1206 წელს თამარ მეფესთან ერთად ძიაში ბოლოსტიკეს საბრძოლად გამგზავრე ქართველთა ლაშქრობას შავთელი ავედრ ღმერთს და ითხოვდა მისთვის გამარჯვებას. ეს შავ თელი, ამბობს ქ.ცხოვრება (გვ. 321), იყოო „ ლად განთქმული და საკვირველი მოღვაწებათა და **ლექსთა გამომთქმელი**“ ანუ, როგორც მა დედ. ნუსხაშია (გვ. 501), „შავთელი კაცი ფ სოფოსი და რიტორი ლექსთა გამომთქმელი მოღვაწებათა შინა გამოთქმული“.

თ. ჟორდანიას ქრონიკებით (2, გვ. 110) ლექსე შავთელი ცოცხალია ჯერ ისევ 1233 წ საც *). მივიღებთ რა მხედველობაში, რომ ა) თული ისტორია და მწერლობა იცნობს ერ ერთ მელექსე შავთელს და ბ) მელექსე შავთელი **თანამედროვე** იმ გარემოსა, რომელთაც **შეაქებ** შეუძლებელია ამ მელექსის თხზულება „აბდ მესიანი“ მიძღვნილი იყოს აღმაშენებლისათვის.

მაშასადამე, რახან არც ერთი ნაყოფში არ მოაჩნდა სასარგებლოდ იმისა, რომ ვითომ შავთე აქებდეს აღმაშენებელს, ისევ უნდა ვიწამოთ უ დელი ეროვნული გადმოცემა ანტონი კათოლი ზის ცნობასთან ერთად, რომ ჩვენი მგოსანი ქებს არა დავით აღმაშენებელს, არამედ თამ მის მიჯნურ მეფე დავით სოსლანითურთ, რომელ ავტორს პირდაპირ ჰყავს დასახელებული **ოხად**, დგან ჩამომავლობით იყო ის ბაგრატიონთაგანი.

რაიც შეეხება შავთელის თხზულებას, როგორ ერთ მთლიან შემოქმედების ნაყოფს, იგი ვერ აკ

---

*) იხ. „ტრიბუნა“ № 463.

*) ასრევე მანის შემწეობით დღესაც სვანეთში იწარმოებიან სახელები. მაგ. შვან (სვანეთი), მშვან (სვანი), ქართ (ქართლი), მქართ (ქართველი), ზან (სამეგრელო), მზან (მეგრელი), სავ (ოსეთი), მსავ (ოსი). თვით ქართველშიაც: მეგვიპტელი=ეგვიპტელი, მეგრელი, მტბევარი, მაწყვერელი, მროველი.

*) იხ. აგრეთვე ჩვენი 1-ლი გამოცემა „ შავთელი. აბდულ-მესიანი“, გვ. 8. სწორედ ამ 1233 წელს გადაწერილ წიგნში (№ 85, გვ. 338) სიტ ბია: „ამის ჯერისათვის სანთელი სულიერისა ფილო სოფოსობისას წმიდათ იოვანეს შავთელი შეწყობ იამბიკონითათა კეთილად და ლუთივ შუენი წარმოაჩინებს“ (იხ. ჩვენი 1 გამოც: გვ. 1).

და ჭორების გავრცელებით საქმიანობდენ, დღეს უკვე მდგომარეობა საკმაოდ შეიცვალა და ყურადღების ცენტრი პარიზიდან მოსკოვში გადმოიტანეს ქართველი ხალხი თითქმის გრძობს, რომ იგი სდგას მოსკოვის სამსჯავროს წინაშე...

რას მოითხოვს ქართველი ხალხი კომპარტიის ყრილობისაგან? რას ეტყვის კომპარტიის ყრილობა მას? დასდებს თუ არა იგი ყრილობა მალამოს ეროვნულ-ნაციონალურ ტკივილებს?

კომპარტიიის ყრილობა უდიდესი სიფრხილითა და ყურადღებით მოეპყრო ეროვნულ კითხვას. ამას ხელს მრავალი ფაქტორი უწყობდა: რუსეთის რევოლიუციის საერთაშორისო მდგომარეობა, რუსეთის საშინაო მდგომარეობა, „ველიკორუსული“ შოვინიზმის და ადგილობრივ ნაციონალიზმის ზრდა განვითარება, ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელმაც წარმოშვა „სმენა ვეხოველები“, აღმოსავლეთის ეროვნულ-გამმანთავისუფლებელი მოძრაობა. გლეხთა საკითხი და მრავალი სხ.

რუსეთის რევოლიუციის მესაჭენი გრძნობენ, თუ რაოდენი საფრთხე მოელის დაწყებულ დიდ მოძრაობას, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მტკივანი ადგილი რუსეთის რევოლიუციისა ეროვნული საკითხია. აღსანიშნავია ყრილობამდე მომხდარი გამოსვლა ამხ. ლევ ტროცკის უკრაინის კომპარტიის ყრილობაზე და მისი მეტად საინტერესო წერილი სათაურით: **мысли о партии**. ყრილობამდე ამხ. ტროცკიმ გააფრთხილა პარტიის წევრები. ძველებს უთხრა „განმეორებითი კურსია“ საჭირო გავიაროთო. ახლებს მოუწოდა „პირველ დაწყებითი კურსიდან“ უნდა დაიწყოთო. რატომ? იმისათვის, რომ „კისერი არ მოვიტეხოთო“. მარქსიზმის დიდი აპოლოგეტი ამხ. ბუხარინი მთელ პარტიას მოუწოდებს—გაჰყვეს მის მაგალითს მონანიებისას. ამხ. ბუხარინი უფრო შორს მიდის და ყრილობას წინადადებას აძლევს „საერთო საკითხიდან გამოეყვეს საქართველოს საკითხი და განსაკუთრებული რეზოლიუცია გამოიტანონ“ ჩვენი ქვეყნის შესახებ და „დაადასტურონ ცეკას გაფართოებული სხდომის დადგენილება“. ამხ. ბუხარინი რაკოვსკისთან ერთად წინააღმდეგია რეზოლიუციაში შეტანილ იქმნას მუხლი „ადგილობრივ შოვინიზმთან“ ბრძოლის შესახებ, რადგანაც ადგილობრივი შოვინიზმი **„ჭიაა“** იმ **„გოლიათთან“** შედარებით, „როგორიც არის თვითმპყრობელური რუსული“ შოვინიზმი. ამასვე იმეორებს ამხ. რადეკი, რომელმაც კარგათ უწყის, თუ როგორი მტკივანი ადგილია რუსეთის რევოლიუციისათვის ეროვნული საკითხი საერთოდ და კერძოთ საქართველოს საკითხი... ამხ. სტალინი ადგენს ცეკას აზრს, რომ საბჭოთა ხელისუფლება **„მშობლიური“** უნდა გახდეს ყველა ქვეყნისათვის.

ყრილობას არ დაკლია ამხ. ზინოვიევის აზრი. ზინოვიევი ამტკიცებს, რომ რუსეთის სინამდვილე მწვავედ აყენებს ეროვნულ საკითხს, რომ კომუნისტური პარტიისათვის არსებობს ეროვნული საკითხი, რომ მას არ სწამს „ბურჟუაზიული სამშობლო“, მაგრამ სწამს „სოციალისტური სამშობლო“. (კამათი ამხ. სტურუასთან) ეროვნული საკითხი არსებობს ბურჟუაზიისათვის, მაგრამ ჩვენსა და „მათ“ (ბურჟუაზიისას) შორის ის განსხვავებაა, რომ „ისინი“ ვერ გადასწყვეტენ ეროვნულ საკითხს. ჩვენ უნდა გადავსწყვიტოთ და კიდევაც გადევსწყვეტთ მასო.

მართალია ამხ. ლენინი არ ყოფილა კომპარტიის მე-12 ყრილობაზე, რომელზედაც ჩვენ უნდა მოგვესმინა მისი ავტორიტეტული აზრი, მაგრამ ამ ყრილობის თავს დატრიალებდა დიდი ლენინის აზრები. „ლენინი“, „ვლადიმირ ილიჩი“, „ილიჩი“, „ლენინი“ გაიძახოდა დიდი და პატარა ყრილობაზე. ფრთხილად, ჩუმად! არ დაგვავიწყდესო, ამბობდენ ისინი, რომ **„Ленин первый бил тревогу по национальному вопросу“**.

უეჭველია ბევრსა და დიდ განძს შესძენდა ლენინი მე-12 ყრილობას, რომ იგი დასწრებოდა მას. მაგრამ ყველა დელეგატის სიტყვებში გამოსჭვიოდა ეროვნული საკითხისადმი დიდი შეგნება და სიფრთხილე და თითქმის ყველა ერთხმად გაიძახოდა: **სიტყვებიდან საქმეზეო.** ლენინის ნაციონალური პროგრამა, რომელიც თითქოს ვიღაცეებმა „გაიტანეს“, ნახულ იქმნა და სიტყვა დასდვეს: სასტიკი ბრძოლა აწარმოონ თვითმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, რომლის საწინააღმდეგო რეაქციაა ადგილობრივი შოვინიზმი. ეროვნულ მომენტს დიდი ადგილი ეთმობა რუსეთისა და საერთაშორისო რევოლიუციის პროცესში და რაც ადრე მოხდება შეუღლება ორი დიდი ლოზუნგის—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით და ჩაგრულო ერებო აღსდეგით (სიტყვა ზინოვიევის აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე—ბაქოში) მით უფრო წინ და სწრაფად გაექანება დაწყებული დიდი მოძრაობის საქმე. რევოლიუციები მოსალოდნელია მარჯვნივ და მარცხნივ. ჩვენ უნდა გავყვეთ რევოლიუციებს მარცხნივ. ჩვენ უნდა გადავწნათ ჩვენი ქვეყნის ბედი რევოლიუციებს მარცხნივ.

მოხსენებას მოჰყვა კამათი. ამხ. **გ. მუშიშვილმა** უსაყვედურა ამხ. პლ. კვირკელიას ის, რომ ამხ. მომხსენებელმა არ აღნიშნა ჩვენი პარტიის როლი ეროვნული კითხვის შესახებ ბრძოლაში, რომ მომხსენებელმა არაფერი არ სთქვა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ, რომ ამხ. მოხსენებელს მისაღებათ მიაჩნია ყრილობაზე მიღებული რეზოლიუცია, რომელშიდაც ძლიარებულია ამიერ-კავკასიის ფედერაციის საჭიროება.

ამხ. პლ. კვირკელიამ მოკლე პასუხში სთქვა, რომ მას აინტერესებდა არა ჩვენი პარტია და ყრილობა, არამედ მისი მოხსენების სათაური იყო: „ქართველი ხალხი და კომპარტიის მე-12 ყრილობა“. მომხსენებლის გულისყური იქით იყო მიქცეული, თუ როგორი ევოლიუცია მოხდა ჩვენი ხალხის აზროვნებაში და რით აიხსნება იგი დიდი ინტერესი, რომელსაც ჩვენი ხალხი იჩენდა მე-12 ყრილობისადმი. ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხსაც ამიტომ აუარე გვერდი და შევჩერდი იმ საინტერესო კამათზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვში ყრილობაზე და „პრავდაში“ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ და საერთოდ იმ ნაციონალური პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამიერ-კავკასიაში, სთქვა ამხ. მომხსენებელმა. რაც შეეხება რეზოლიუციას, უნდა ითქვას, რომ ის სავსებით დამაკმაყოფილებელია (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მარქსისტულ მისვლას საკითხთან), რეზოლიუციაში არ არის მუხლი ამიერ-კავკასის ფედერაციის შესახებ, მაგრამ თუ ჩვენ რეზოლიუციას ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ ნაციონალურ რესპუბლიკათათვის მეორე პალატის შექმნით და ამიერ-კავკასიის ფედერაციის უფლებების შეკვეცით (კამენევი, კოლექტიური წერილი ამხ. კახიანის, რუბენი და ახუნდოვის) საქართველოს რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა უსათუოდ უმჯობესდება. საჭიროა მხოლოდ სიტყვას საქმე მოჰყვეს.

პროლეტარიძე.

ყოფილებს შოთას მოთხოვნილებას, გამოთქმულს მის-მიერ მის „ვეფხის-ტყაოსნის“ მე-25 ხანაში. აქ დიდი პოეტი ამბობს:

> „ჰხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს:
> ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
> ყოვლსა მისთვის ჰხელოვნობდეს, მას აქებდეს მას ამკობდეს,
> მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“.

ჩვენი შავთელი-კი არა „ერთს“ აშიკობს, არა „ერთს“ აქებ-ადიდებს, არამედ ორს პირს, თამარს და დავითს, და ამასთანავე მათს ქებაში შემოაქვს არა მარტო მათი პირადი ღირსების შეფასება, არამედ მათ ომებისაც, და კვლავ არათუ ომებისა, თვით მათ სასახლეთა და აღწერილობაცა და მორთულობაც (ხანეაი 39—44). ცნობა ანბანის პირველ მომგონთ შესახებ (ხ. 48), კრიტიკა შესახებ მწვალებელთა და მაჰმადიანობისა (82, 84—85), ამბავი ბაბილონის გოდოლის აშენებისა, ქრისტეს განსამართლებისა, მეორედ მოსვლისა (91—94) კვლავ ცნობა შესახებ ანბანის მომგონთა, ბიბლიის წიგნთა (102—103).

ამ შინაარსის „აბდულ-მესიანს“ მარრი უწოდებს ოდას, მაგრამ ოდა, როგორც ვიცით, ნიშნავს გალობა-შესხმას და, როგორც აგეთი, არის ხოლმე ან რელიგიური ხასიათისა, ან გმირული, რომელშიაც შეიქებიან გმირები, ან დიდაქტიური, რომელშიაც იდიდებიან ზნეობრივი ჭეშმარიტებანი და იდეალები ხელოვნებისა და ცხოვრებისა. ამ თვალსაზრისით რომ გავსინჯოთ შავთელის ლირიკული თხზულება, იგი გვესახება რაღაც ნარევ ქმნილებად რომელშიაც ისტორია, გმირობა მოქმედ პირთა, მხილება თანამედროვეთა, საქრისტომატიო ცნობები სხვა და სხვა საგანთა შესახებ ერთად ხელოვნურად შებერწილია და სრულიად არ წარმოადგენენ ერთ მთლიან წყობილს, რომელიც დაიმღერებოდეს როგორც რამ ოდა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ავტორის თხზულება თავით ბოლომდე დაწერილია 20-მარცვლოვან ლექსით და ფრიადის შემკულობით ენის მხრივ.

მ. ჯანაშვილი.

ფელეტონი

ნაპოვნი წერილი

......„ხო და იმას მოგახსენებდი ჩემო პატრიკი, ალბათ გაგონილი გექნება თქმულება: ბაგე სდუმს, როცა გული ლაპარაკობსო“ მაგრამ დღეს ისეთი პირობები არაა, რომ კრილოვისებური არაკებით ვილაპარაკოთ, სთქვი პირდაპირ, ამხილე მოურიდებლათ, ვისაც სიყალბე შენიშნო. სამართლიანი მხილებისათვის მადლობას გეტყვიან. „ასკანაში გვაბრათის და მთის პირის კოოპერატივებზე რაღაც გული გაკლია. მეტად ემდური მთის პირის კოოპერატივს და კი არ ამბობ რისთვის. შენი მოგვარეა იმ კოოპერატივში კაცო და, თუ აშკარათ ვერაფერს ეტყვი, ყურში მაინც ჩაუფუჩუნე. შენს ეზოში არ არის? ისე გამბედაობა კი გკლებია ჩემო პატრიკი. ადგილობრივი სცენის მოყვარეები წარმოდგენებს მართვენ და, თუ მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა, მეორე დღეს უსათუოდ სკოლას მოცდებიანო, რო იწერები, ისე კი ნუ იზამთ, როგორც საალდგომოთ 15-ს წარმოდგენა დადგით და 16-ს ორშაბათს სწავლა მოაცდინეთ, დადგით შაბათს—კვირეს დაისვენეთ. ორშაბათს კი სკოლისაკენ გასწით. მორჩა და მოისვენა, რათ უნდა ამას ბევრი წილადობილა?

ასკანაში ახალი ამბავი ისაა კიდევ, რომ სიფხიზლის საზოგადოება დაარსდაო იწერები. მესმის, მესმის თავმჯდომარეთ უსათუოდ ვალერიან ჯაველიძე იქნება და მის თანაშემწეთ პროკოფი გიჯაბიძე. ეს სასიხარულო ამბავია მაგრამ გურიაში ღვინის მოუსავლობა იყო წრეულს და კერძოთ ასკანაში წვეთ ღვინოს ვერ იშოვი. (სულ სიმინდზე გადასცვალეს ნატანებში და გურიანთაში) სოლომონ ქეიშვილს ჰქონდა ძველი ღვინო და იგიც ვიღაც წითელარმიელმა შეუსვა თურმე. ამ ღვინის მოუსავლელობის წელიწადში დაარსებული სიფხიზლის საზოგადოება თუ მოსავლიანმა წელიწადმა არ ჩაგიფუშათ, ვიმეორებ, დიდებული საქმე მოგიწყვიათ მეთქი.

მღვდელი აკაკი თალაკვაძე და მისი და ელენე რაც მთის პირის ეკკლესია დაკეტეს, ტყეში გაიხიზნენ და ცხარე ცრემლებს ღვრიან „შეგინებულ სარწმუნოებაზე“. ღამ-ღამობით მათთან ვანის ქედის მღვდელი სტაქო თალაკვაძე დადის და ნუგეშსა სცემსო, იწერები. რა საყურადღებო ამბავია მაგი? მღვდელი მღვდლურს იზამს ყოველთვის, შენ ის მითხარი,—ამ თალაკვაძეებს მღვდლობა პრემიათ ხო არ ურიგდებოდათ?.. სტაქო თალაკვაძე აკაკი თალაკვაძე, ნიკიტა თალაკვაძე—დამეთხოვე თუ ძმა იყო! რა ამბავია, კაცო ჰო, ექვთიმე თალაკვაძე კინაღამ დამავიწყდა.

კიდევ იწერები: ასკანელმა მენშევიკებმა ყველამ უარჰყო მენშევიკური პარტია და გაზეთებშიც გამოაცხადეს; მხოლოდ ზოგიერთის გულწრფელობაში თითქოს ეჭვი შეგდის, ჩემო პატრიკი მე კი გეტყვი: შენ მასწავლებელი კაცი ხარ და სულიერ განცდას ამა თუ იმ პირისას უფრო ადვილად გაიგებ, შეიძლება შენი ეჭვებიც სიმართლესთან ახლოს იყოს, მაგრამ მაგი ნუ შეგაშინებს შე კაი კაცო. ორივე შემთხვევაში ეს მოვლენა (მენშევიკების უარყოფა) მენშევიკების საწინააღმდეგოთ ლაპარაკობს. ვინც გულწრფელად უარჰყოფს—ამას ადვილათ დაინახავთ თუ ვინმე თაღლითობს და სტყუის ამ უარყოფაში, განა ესეც მენშევიკების გაკოტრების მომასწავებელი არ არის? რწმენით, იდეით თვალთმაქცობა განა მენშევიკების სულიერ სილატაკეს არ მოასწავებს?!......“ წერილის დანარჩენი ადგილი ჯერჯერობით ვერ ამოვიკითხე.. იმედი მაქვს, რომ გავარჩევ სხვა დროისთვის და ჯერ-ჯერობით კი უცნობი ავტორის საყურადღებოთ და მის დასამშვიდებლათ წერილს რედაქციაში ვგზავნი.

ვიპოვნე და გავგზავნე.

ton

რაშია საქმე

ისევ ქართული ენის შესახებ.

თუ ქართველ ბოლშევიკებში ჯერ კიდევ ბევრია ისეთნი, რომელთაც ვერ შეუგნიათ ეროვნული კითხვის მნიშვნელობა და დამახინჯებული მოღვაწეობით დათვის სამსახურს უწევენ ინტერნაციონალს და ხშირად მათი მოქმედება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ეხლანდელ კომპარტიის მოძღრებას ეროვნულ საკითხში, ეს თუმცა დასაგმობია, მაგრამ ადვილი გასაგებია, ვინაიდან ბოლშევიკებს ჯერ კიდევ არ მიაჩნიათ ერის საკითხი პრინციპიალურად.

მაგრამ რატომ ხდება ხოლმე ქართველი ნაციონალ-დემოკრატი, ანუ ეგრედ წოდებული, უპარტიო, რომლებიც ყოველ გზა ჯვარედინზე გოდებენ ქართველ ერზე, ხოლო როდესაც სათავეში მოექცევიან დიდმნიშვნელობის ქართულ დაწესებულებას, მაშინვე მიაფურთხებენ ყოველსავე ქართულს, დაივიწყებენ ერსაც და ბერსაც და მოუჯდებიან თბილ მაგიდას. მაგალითისთვის მოვიყვან შემდეგს:

ა. ქ. ფოთში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 99 პროც. ქართველებია, არსებობს ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის აქციონერული საზოგადოების „ჩემო“-ს განყოფილება და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ამ რამდენიმე კვირის წინად ამ განყოფილების გამგეთ დაინიშნა პატივცემული ინჟენერი ყიფშიძე, არც ერთ ქართველს იქ ადგილი არა აქვს პასუხის მგებელ თანამდებობაზე, არც ერთი ქაღალდი ქართულად არ დაიწერება და სამაგიეროდ აქ დაინახავთ ყოველი ჯურის უცხო ხალხს. არ იფიქროთ, რომ ეს ხალხი ცოდნით და ნიჭით სჯობნიდეს ქართველებს; არა, ესენი არიან უბრალო მომაკვდავნი, მაგრამ სარგებლობენ განსაკუთრებული ყურადღებით, რადგან უცხოელები არიან. ამავე დროს მათზე უფრო მცოდნე და გამოცდილი ქართველები, ან უსაქმოა, ანუ ისეთ სამსახურში არიან, სადაც უცხოელები არ მოისურვებენ სამსახურს. ვიმეორებ, ინჟენერ ყიფშიძეს ამაში არ შეიძლება ჯერ-ჯერობით ბრალი დაედვას, ვინაიდან იგი სულ რამდენიმე კვირაა რაც განაგებს განყოფილებას და, როგორც მესმის, ცდილობს მალე შემოიღოს მიწერ-მოწერა ქართულად.

ბ. საქართველოს სახალხო ბანკის სოხუმის განყოფილების მმართველი, არა სოციალისტი, ეგრედ წოდებული უპარტიო, მოქალაქე ჩხატარაშვილი, მიწერ-მოწერას აწარმოებს არა ქართულად; და როდესაც ერთ-ერთმა განყოფილების მმართველმა შენიშნა ეს, ჩხატარაშვილი გაჯავრდა და გვარიანად გამოლანძღა თავხედი შენიშვნის ავტორი, „რა უფლება გაქვს“, „ვინ დაგავალა“, „ჩვენ ჩვენი ტერიტორიალური მდგომარეობით მონიჭებული გვაქვს უფლება“, „თქვენი შენიშვნა უადგილოა“ და სხვა ასეთები.

ai ესე ამტკიცებენ ქართველი ბურჟუები თავიანთ სიტყვას ერის სამსახურის შესახებ თავისივე „ეროვნული“ საქმიანობით. ერთი სიტყვით ბურჟუაზიისათვის ერი მანამდი არსებობს, სანამ ეს უკანასკნელი მას მიანიჭებს თბილ ალაგს ან დიდ მოსაგებს.

გ. ფოთის ნავთსადგურთან არსებულ განსაკუთრებული განყოფილების („ოსობი ოტდელი“) უფროსმა, ქართველმა, ქართული ენის მცოდნე ეკონომისტმა, ამხ. კაჭარავამ, უკან დაუბრუნა შეუსრულებლად, მიმართვა საქართველოს სახალხო ბანკის ფოთის განყოფილებას იმ მიზეზით, რომ მიმართვა ქართულად იყო დაწერილი და მოითხოვა რუსულად დაწერილი მიმართვა.

ეს მიმართვა იმითი იყო გამოწვეული, რომ ფოთის ნავთსადგურში მოსულ მარგანეცის უცხოეთის გემების მოსამსახურენი, ვალიუტის დახურდავების დროს ხელში უვარდებიან სპეკულიანტებს; და, ვინაიდან ამ გემებთან მიმოსვლა ხდება მხოლოდ „ოსობი ოტდელის“ ნებართვით, ბანკის განყოფილების მმართველი თხოვდა ამხ. კაჭარავას გამოეცხადებინა უცხოელებისათვის, რომ ვალიუტის დასახურდავებლად მათ შეუძლიანთ მიმართონ სახალხო ბანკის განყოფილებას, რომელიც ახურდავებს უცხო ვალიუტას ოფიციალური კურსის მიხედვით.

აი!

გლეხობას მივხედოთ

ვინც ღრმად ჩაუკვირდება გლეხის ცხოვრებას, ის ნათლად დაინახავს, რომ გლეხობა არა თუ მტერია რევოლიუციის, არამედ ნამდვილი მისი დამცველი. ის დღეს შეგნებულად უყურებს რევოლიუციას და სწამს მისი საბოლაო გამარჯვებაც და ქალაქის მუშებთან ერთად სდგას რევოლიუციის სადარაჯოზე. ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ ის, რომ საბჭოთა მთავრობამ იმათ უმთავრეს ჭრილობას მალამო დასდო: გაანთავისუფლა იგი მემამულეების კლანჭებიდან და მიწა სრულებით უფასოთ დაურიგა. ამ გარემოებამ მშრომელი გლეხობა გამოაფხიზლა, შეაყვარა უფრო მეტად რევოლიუცია და შეაგნებია მომავლის სიდიადე. და როდესაც მენშევიკებს ველაპარაკებოდით, რომ სიტყვიდან საქმეზე გადასულიყვნენ და უფრო მეტის ყურადღებით მოპყრობოდნენ მათ, მაშიმ ისინი გლეხობას კონტრ-რევოლიუციონერებათ ნათლავდნენ და გველაპარაკებოდნენ, რომ მას, ე. ი. გლეხობას არ შეუძლია ქალაქის პროლეტარიატთან ერთად იაროს სოციალიზმის განსახორციელებლად და მაშასადამე გლეხობა არ წარმოადგენს რევოლიუციის გამარჯვების დასაყრდნობ ძალასო, რადგან მათი ინტერესები სხვა და სხვააო. მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ გვიჩვენა, რომ გლეხობასაც შეუძლია რევოლიუციონერობა და იარაღით ხელში რევოლიუციის დაცვა!! აბა ვინ იყო ის ძალა, რომელმაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა რუსეთის კონტრ-რევოლიუციას, რომელთაც სურდათ საბჭოთა მთავრობის დამხობა თუ არა რუსეთის გლეხობა?! გლეხი **მგრძნობიარეა**, კარგათ არჩევს მტერს და მოყვარეს, შავს და ბნელს!..

და აი როდესაც მშრომელ გლეხობამ მან, ბევრათ თუ ცოტათ მოიხსნა ის მძიმე უღელი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აწვა მას კისერზე, ის გვერდში ამოუდგა შეგნებულათ ქალაქის მუშას. იგი უსისხლოდ არავის არ დაუთმობს რევოლიუციის მონაპოვარს—მიწას და ეს თავდებია რევოლიუციის სრული გამარჯვებით დამთავრებისა. ეს ორი ძალა—სოფლის გლეხობა და ქალაქის მუშა დღითი-დღე უფრო მჭიდროთ უკავშირდება ერთმანეთს და მედგრათ სდგას რევოლიუციის სადარაჯოზედ.

ამიტომ მეტი ყურადღება სოფლის გლეხობას, მეტი დახმარება მას.

შალ. ქოლაძე.

სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი

სოლომონ ევლამპის ძე ასლანიშვილი (ბაგრელი)

სოლომონ ევლამპის ძე ასლანიშვილი ეკუთვნის ქართველ მოღვაწეთა ისეთ ჯგუფს, რომლის წევრნიც გახლავან მე-19-ე საუკუნის ნახევრის ქართველთა მიმართულების მოღვაწენი და მწერლები.

ბევრასთვის ამ კაცის სახელი იქმნება პირველი გაგონება იყოს და ზოგიერთათვის წარმოდგენაც საკვირველიც, მაგრამ, როცა ამ პიროვნების სამსახურს და მოღვაწეობის ცნობებს მოვსთვლით, მაშინ კი იგი იქნება ჯილდო ჩვენის ღირსების, პატივისცემის და სიყვარულის, რასაც მოითხოვს ჩვენი ზნეობრივი ვალი და მასთან განათლებულ და შეგნებულ კაცთა სამართლიანობის მოვალეობა და ეს ცხადი ჭეშმარიტება არის. საბუთი იმ გარემოებას.

როცა კი გაბრწყინდა სერგეი მესხის გაზეთი „დროება“ 1878 და ილია ჭავჭავაძის გაზეთი ჯერ კვირის და მერე თვიური ჟურნალი „ივერია“ სოლომონ ასლანიშვილი იმ ცნობილ კაცთა მეგობარია და გამოცემათა კარგი თანამშრომელი, იმის კალმით ერთ დროს საკმარისად ბრწყინავდა ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ და სერგეი მესხის გაზეთი „დროება“.

ამ პირთა გარდა ს. ასლანიშვილს იცნობდენ კარგათ ყველა ჩვენი წარჩინებული კაცები: იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, კირილე ლორთქიფანიძე და ბევრნიც სხვანი, ყველა იგინი გატაცებულნი იყვნენ იმის ნაწერების კითხვით. პირველი მაგალითი იყო, რომ სოლომონ ასლანიშვილმა არტაანიდან, არდანუჯ-ართვინიდან ქართულ გაზეთებში, ქართველ მაჰმადიანთა შესახებ წერა დაიწყო, 1878 წლიდან, ამის წერილებს მთელი ქართველი ინტელეგენცია დიდის ხალისით კითხულობდა.

ერთ დროს იმისი წერილი, დაბეჭდილი ჟურნალ „ივერიაში“ 1879 წ. დაწერილი ჰაეროსტატით ტანტალე (მგზავრის შენიშვნები), „ნავით მოგზაურობა „ართვინიდან ბათომამდე და წერილი სათაურით „ზამთარი“, დაბეჭდილი იმავე ჟურნალში, დიდის ალტაცებით გაარჩია გიორგი თუმანიშვილმა. ამ კაცის საინტერესო წერილებით სავსეა ძველი ჟურნალ გაზეთები და ვისაც უნდა სამცხე-სათაბაგოს, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების გაცნობა და ქართველ კათოლიკებისა, ის იმის ნაწერების გაუცნობლობას ვერ ასცდება, თვით მეც კი იმის წერილების მიბაძვით დავიწყე სამუსულმანო საქართველოში მოგზაურობა და მუშაობა. ამ კაცის ღირსეული შრომის დასაფასებლად მე ვიმოწმებ იმ პირთა, ვისაც კი ცოდნა აქვს ჩვენის მე-19-ე საუკუნის ნახევრიდან მოყოლებულის მწერლობის.

სოლომონ ასლანიშვილის ნაწერები, რომ შეიკრიბოს და ცალკე წიგნად გამოიცეს, იგი იქნება რამდენიმე ტომი, აზრიანი განძი დაუფასებელი გვირგვინი და წყარო სამცხე-სათაბაგოს შესწავლის და ნამეტურ ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების. ასეთის ლაპარაკით მკითხველს თავს არ შევაწყენთ და გადავალთ სოლომონ ასლანიშვილის ერთგულ მოღვაწეობაზე და ცხოვრებაზე.

სოლომონ ევლამპის ძე ასლანიშვილი დაიბადა 1851 წელს სოფ. ბავრაში, ჯავახეთში ახალქალაქის მაზრა. სოლომონ ასლანიშვილი სულ პატარაობისა ასცდა სწავლა-განათლების გზას, რადგან მისი მშობელნი იყვნენ შეუძლონი. ბევრის მეცადინეობის შემდეგ პატარა სოლომანმა მოახერხა ახალციხეში ჩასვლა და იქ, ახალციხის ქართველ კათოლიკეთა, ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამრევლო სკოლაში შევიდა მოწაფეთ, იმ სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა მოწაფეთ ახალციხის სამაზრო სკოლაში, სადაც მან პირველი გამოცდა ჩინებულად დაიჭირა.

სწავლა დაამთავრა ახალციხის სამაზრო სკოლაში. სწავლობდა დიდის ბეჯითობით და პირველი მოწაფე იყო ქართველ მოწაფეებში, ნამეტურ ქართულ წიგნების კითხვაში, საცა მაშინ საქართველოში დაბალ სკოლებში—ყველგან სასტიკათ სდევნიდენ ბავშვებს ქართულ წიგნების კითხვის გამო და სასტიკადაც სჩაგრავდნენ; სჯიდენ.

მიუხედავად ასეთ შიშიანობისა, სოლომონი არასფერს უშინდებოდა და ქართულ წიგნების კითხვას, ანუ ქართულ მწერლობის შესწავლას დიდის ხალისით მისდევდა, რაც მაშინ ერთის მხრით ქართველებში და ისიც ახალციხეში, სადაც ქართული ენა განიცდიდა დიდ დევნას, იყო მიცემული დავიწყებას, საკვირველიც იყო ქართველი მოწაფისაგან და მეორეს მხრით მისთვის საშიშარიც იყო, მიუხედავად ყველა ამისა, სოლომონ ასლანიშვილი არასფერს უშინდებოდა და მშობლიურ ენის და ლიტერატურის შესწავლას დიდის ხალისით მისდევდა.

შეუძლებულობის გამოსწავლა ვერ განაგრძო, თუმც დიდი სურვილი ჰქონდა.

სწავლის დამთავრების შემდეგ, სოლომონ ასლანიშვილის მთელს ახალციხის ქართველ ხალხში. მას კარგი სახელი ჰქონდა გავარდნილი, ამიტომ იგი ახალციხეში მასწავლებლად იქმნა დანიშნული.

ჯერეთ მასწავლებლობდა ახალციხის ქართველ კათოლიკეთ სკოლაში ცოტა არ იყოს იმას მაშინ იცნობდენ, როგორც ლიბერალს და იმიტომ ზოგნი ქართველ მამულიშვილობასაც სწამებდნენ, იმიტომ სოლომონი ყოველგან ეჭვის თვალით უყურებდენ; ამიტომ იმან იმეცადინა და 1876 წ. მასწავლებლობის თანამდებობას დაანება თავი და გადავიდა ფოსტა-ტელეგრაფის სამსახურში; დაინიშნა ის სურამის კანტორაში.

1878 წ. სამცხე ათაბეგის ერთი ნაწილი შეერთებული იქმნა რუსეთის საქართველოსთან, მაშინ სოლომონ ასლანიშვილი გადაყვანილი იქმნა არტაანის ფოსტის-ტელეგრაფის კონტორაში. ეს გარემოება იყო ასლანიშვილის თავის დედათ სასიხარულო და სასიამოვნო, რადგანაც მან ოსმალეთის ისტორია კარგათ იცოდა და საქართველოს ამოდენა ვრცელი კუთხის შეერთებაზე იგი დიდათ გახარებული იყო.

ქართულ გაზეთებში წერა მან დაიწყო 1876 წ. და იგი მუდამ დაუზარებლივ სწერდა სხვადასხვა წერილებს; იმან პირველად დაიწყო წერა ქართველ მაჰმადიანების შესახებ. მოკლე დროის განმავლობაში მთელ არტანიის თემის ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებაც სოლომონმა გააცნო იმ დროის ქართველობას გაზ. „დროების“ ფურცლებით, რასაც ამ დროის ქართველობა ალტაცებით კითხულობდა. ამ დრომდის ჩვენ კი არტაანის ქართველ მაჰმადიანების სულ არაფერი არ ვიცოდით.

არტაანში ს. ასლანიშვილმა მცირე ხანი დაჰყო და წლის თავზედ იგი გადაყვანილ იქმნა არდანუჯში, ართვინის თემში. სოლომონ ასლანიშვილისათვის ეს გარემოებაც სასიხარულო იყო, ნამეტურ ის პირობებიც, რომ იმ დრომდის ჩვენთვის არდანუჯი ისეთივე უცნაური იყო, როგორც არტაანი. მართლაც სოლომონ ასლანიშვილი არდანუჯშიც თავისებურის ნიჭით დატრიალდა და ახლა იქიდამ დაიწყო ქართულ გაზეთებში არდანუჯის შესახებ წერა.

არდანუჯი და მთელი მისი თემის, ანუ შავშეთის, არდანუჯის და იმერხევის სოფლების მცხოვრები ქართველ მაჰმადიანებიც იმან გააცნო მაშინ ქართველობას.

სოლონ ასლანიშვილის სახელი იმ დროის ქართულ გაზეთებში „ბავრელის“ ფსევდონიმით ბრწყინავდა. მკითხველი, გადაშლიდა თუ არა იმ დროის გაზეთს, შიგ ყველა ს. ბავრელის წერილს ეძებდა, რადგანაც იგი აცნობებდა ქართველ ერს დიდის ხნიდამ მოწყვეტილი და მოგლეჯილი ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებას.

არდანუჯში მსახურობის დროს სოლომონ ასლანიშვილი თვით არდანუჯის მცხოვრებლებზეც— კარგად მოქმედობდა; იქ იმას ჰქონდა თავისი კერძო სკოლა, სადაც იქაურ ბავშვებს ასწავლიდა უსასყიდლოთ, სანამ ამის მეცადინეობამ ადგილობრივმა კათოლიკე მცხოვრებლებმა ააშენეს კანონიერი სკოლა და მოიყვანდენ განგებ დანიშნულ მასწავლებელს, ის უსასყიდლოთვე ასრულებდა მასწავლებლის თანამდებობას.

ამის გარდა მათ სხვადასხვა თხოვნებსაც უწერდა და მასთან მუდამ დარიგებას აძლევდა, რომ იგინი, როგორც რუსის ხელში ახლად შეძენილნი, უცოდინარობისაგან არ დაჩაგრულიყვნენ. ასეთი მოქმედებისათვის სოლომონის ხალხი დიდი მადლიერი იყო და ყველა აქებდა მას.

ასეთი მოქმედება სოლომონ ასლანიშვილისა საშიშო გახდა ბათომის გუბერნატორისათვის და ამის მეოხებით სოლომონ ასლანიშვილი მიღებულ იქნა საშიშო პირად. ამ შეხედულებას ქუთაისის სამხედრო გუბერნატორიც ხმას აძლევდა, რადგან მათ სოლომონ ასლანიშვილის ქართულ გაზეთებში წერილების წერა გულზედ ცეცხლად ეკიდებოდათ; მაგრამ ყველა ესენი ვერას აწყობდენ სოლომონის წინააღმდეგ, რადგანაც მაშინ ცოცხლები იყვნენ მიხელ მეფისაშვილი და მიშა ერისთავი. ორივე გავლენიანი კაცი მფარველობას უწევდნენ მას. შემდეგ დროს კი, როცა ართვინში მაზრის უფროსად დანიშნულ იქმნა ვიღაც შუბინსკოი, ამან კი სოლომონ ასლანიშვილის პროგრესიულ შრომას ცუდი თვალით შეხედა. იმისი ყველა ცდა მონარქიის მტრობათ ჩათვალა და ქართველთ მომხრეთ და იმიტომ სოლომონ ასლანიშვილს დაუწყო სასტიკათ დევნა.

ბატონმა შუბიანსკიმ მიწერ-მოწერა გამართა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან და თხოვნა რომ ასლანიშვილი, როგორც არა სანდო პირი და მტერი მონარქიული მთავრობისა არდანუჯიდამ რუსეთში გადაეყვანათ. საქმე ისე დატრიალდა და სოლომონ ისე მაგრა დაუხვდა მოწინააღმდეგე მაზრის უფროსს შუბინსკის, რომ მოკლე დროში საქმე იქამდია მივიდა, რომ შუბინსკისაგან კაცი იქმნა დანიშნული ასლანიშვილის მოსაკლავად. მაგრამ. ერთმა გარემოებამ გადაარჩინა და გადაყვანილი იქმნა მხოლოდ ჯულფის კანტორაში, სადაც მაშინ იგზავნებოდენ მრავალი დამნაშავენი, მაგრამ რადგან მას ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ლინდენი კარგად იცნობდა, ჯულფის მაგიერ ჯერ დროებით ქუთაისში და მერმე ტფილისში გადმოიყვანა.

ადმინისტრაციასთან კონფლიქტი და ზემო ნათქვამი გარემოება კარგათ უნდა ახსოვდეს გენერალს ჩიქოვანს, რომელიც მაშინ არდანუჯში და იმის თემში უფროსად გახლდათ; ამის გარდა ესე ამბები კარგად ეხსომება ვასილ დეკანოზოვს, რომელიც მაშვინ ართვინში მსახურობდა.

1905 წ. რევოლიუციის დაწყების დროს, როგორც გაფიცვის ბიუროს წევრი დაპატიმრებული იქმნა მეტეხის ციხეში და გააგდეს სამსახურიდან; მაგრამ კიდევ ლონდენის მეცადინეობით იგი ისევ სამსახურში მიიღეს. სამსახურში სოლომონ ასლანიშვილი იყო პირველი ხარისხის მოხელე და დიდ ხანს ექსპედიციის გამგეთ იყო ტფილისის ფოსტის კანტორაში.

დღეს მოხუცებაში შესული, სამსახურს გარეშეა და მუშაობს ტფილისის ქართველ-კათოლიკეთა აღმასრულებელ კომიტეტში. თამამად ითქმის, რომ სოლონ ასლანიშვილი ყოფილა ყოველთვის მრთალმსაჯულების მოყვარე და დიდი მოტრფიალე და ქომაგი თავისუფლების და სამართლიანობის. იმის შესახებ ჩვენ ვიგონებთ თვით მის მწერლობის და იმ ბრწყინვალე შუქს, რაც გაფანტულია მის ნაწერებში თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში.

როგორც დასაწყისში ვსთქვით, სოლომონ ასლანიშვილი ისეთი მოტრფიალე იყო ქართულს მწერლობის და ისტორიის, რომ მას ხელიდამ არ გაუგდია თვისი კალამი 40 წლის განმავლობაში; იგი ქართველი ერის ბედს ყოველთვის გულ-მდუღრად დასტიროდა. ამისი მაგალითია შემდეგი:

სოლომონ ასლანიშვილს ჩირდილის ხეობაში უნახავს ერთი ქართველი ძველი ეკკლესია დიდებულად გაკეთებული; მის ხილვას სოლომონის გული მწარეთ დაუფიქრებია და ერთ კედელზედ, სოლომონ ასლანიშვილი აწერს „ვნახე ეს დიდებული ნაშთი ქართველი ცხოვრების გულმდუღრად მტირალი სოლომონ ასლანიშვილი“.

ეს ცნობები ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს დიდის ქება-დიდებით მოჰყავს თავისაგან დაწერილის საქართველოს ისტორიის პირველ ტომში. დიახ, ასეთ ნაღვლით გაატარა სოლომონ ასლანიშვილმა ახალგაზრდობიდამ მოყოლებული ღრმა მოხუცებამდის. გაზეთებში დაბეჭდილი წერილების გარდა მანვე შეადგინა:

1. ქართულ ოსმალური სახელმძღვანელო გამაჰმადიანებულ ქართველებში ქართული ენის აღსადგენად. გადაცემული იყო გადმოსაცემათ წერა-კითხვის საზოგადოებაში, დღეს დაკარგულია.

2. სახელმძღვანელო ელექტრობაზედ ფ.-ტ. მოხელეთათვის. ისიც ფ. ტ. ოლქში დაკარგულია.

3. ფრანგულ-ქართული სახელმძღვანელო. ეს ხელთნაწერი გაგზავნილია კონსტანტინოპოლში ქართველ კათოლიკების მონასტერში დასაბეჭდათ და

4. რუსულ-ქართული თვით მასწავლებელი რუსთათვის. დასაბეჭდია.

სხვა წიგნებს და წერილებს ჩვენ არ მოვთვლით აქ, ვინაიდგან ესეც კმარა მის გასაცნობათ.

ზ. ჭიჭინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

ქუთაისის ალმასკომის დავალებით ტფილისში ჩამოვიდა მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, რომელსაც მინდობილი აქვს მომავალ ზამთრისათვის დრამატიული დასის შედგენა. ზარდალიშვილი დაინიშნა დასის ხელმძღვანელად და მომავალ ზამთარსაც ქუთაისში ითამაშებს.

უკვე დრო არის.

კიდევ რამოდენიმე წარმოდგენა და სეზონი დაიხურება. დაიშლება დასი. დაყრუვდება თეატრი სამი თვით და შემდეგ ისევ განახლდება... მაგრამ, აი სწორედ საქმეც აქ არის.

როგორი იყო მიმდინარე სეზონი?

მართალია ის ჯერ სავსებით არ დასრულებულა, მაგრამ მისგან ახალსაც არაფერს მოველით. პირველადვე გამოაშკარავდა მისი უილაჯობა და უდღეურობა. ამის შესახებ თითქმის ყველა ამეტყველდა. კინაღამ შეწყდა ახლად გახსნილი სეზონი. მარჯანიშვილმა გამოაცოცხლა მომაკვდავი; ხელი შეუწყვეს სხვა რეჟისორებმაც და, როგორც იქმნა, სეზონმა იარსება.

რატომ მოხდა ეს ასე?

იმიტომ, რომ არ იყო შესაფერი მუშაობა. მართალია არსებობდა სარეპერტუარო კომისსია, მაგრამ, როგორც სეზონის რეპერტუარმა დაგვანახვა ის ვერ იგდა თავის სიმაღლეზე და მისი მოქმედება იყო ძალიან ინერტიული.

ასეთივე ხვედრი მოგველის მომავალშიაც, თუ ამთავითვე არ შეუდექით საქმეს. მართალია ჩვენ ცოტანი ვართ, მაგრამ პატარა და მცირე არ უნდა გვაკმაყოფილებდეს და არც გვაკმაყოფილებს; ეს იმისგანაც სჩანს თუ გნებავთ, რომ სეზონის პირველ წარმოდგენებზე მსახიობები მეტი იყვნენ სცენაზე, ვიდრე დამსწრე საზოგადოება თეატრის დარბაზში, მიუხედავად იმისა, რომ სამი-ოთხი თვის დასვენებულს საზოგადოებას ძალიან სწყუროდა თეატრი. ასეთი გულგრილობისათვის საყვედურიც კი უთხრეს ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ეს საყვედური სრულიად უსაფუძვლო იყო, რაც დამტკიცდება იმით, რომ შემდეგში, მაგ. მარჯანიშვილის და სხვა რეჟისორების ზოგიერთ დადგმებზე, თეატრი ყოველთვის სავსე იყო.

მე მგონია, თუ საზოგადოების ერთი ნაწილი მაინც ესწრება ზოგიერთ წარმოდგენებს, ეს ხდება სხვათა შორის იმიტომაც, რომ თეატრის ზალა ხავერდებში მორთული და ელექტრონით გაშუქებული, ფარდის იდუმალი შრიალი ჩამოშვების და ახდის დროს. განათება და დაბნელება სხვადასხვა ფერი სინათლით, ანტრაქტების დროს დერეფანში სეირნობა და ნაცნობების თუ უცნობების ნახვა-შეხვედრა, უფრო აკმაყოფილებს და იზიდავს მას, ვიდრე თვით წარმოდგენა. საზოგადოებას ფარდის ჩამოშვება (მოქმედების თუ სურათის გათავება) უნდა სწყენდეს და არა უხაროდეს, როგორც ეს ჩვენს თეატრში ხდება. ასე რომ გაგრძელდეს საქმე, მაშინ ხომ მოკვდება ჩვენი თეატრი!?

რა გვიხსნის?

მხოლოდ ინტენსიური მუშაობა და საქმისადმი უაღრესი სიყვარული. აი ამგვარად შეიძლება ჩვენს თეატრს ავაცდინოთ ის კრიზისი, რომელსაც ის განიცდის ეხლა. ძალიან ჩამორჩენილია ჩვენი თეატრი და ასეთი ნაბიჯებით ის შორს წინ ვერ წავა. მას სჭირია გიგანტიური გაქანება რომ დაუახლოვდეს თანამედროვეობას.

უნდა დაარსდეს კომისია (თუ გინდ სარეპერტუარო ერქვას მას), რომელსაც უნდა დაევალოს მომავალი სეზონის და არა მარტო სეზონის, თვით თეატრის გაჯანსაღება, მოწყობა და თავის სიმაღლეზე დაყენება. საქმე გაკეთდება მხოლოდ მაშინ, თუ კომისიის შემადგენლობაში იქმნებიან ნამდვილი თეატრალი ხელოვანნი, რომლებიც ისწრაფვიან თეატრის დახსნას და რომლებსაც ამისათვის უნარიც აქვს და შეძლებაც. სტაჟს ამ შემთხვევაში ყურადღება არ უნდა მიექცეს. კომისიამ უნდა შექმნას ახალი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, რეპერტუარი. ახალი რეპერტუარი მხოლოდ მაშინ გვექნება, თუ შეგვექნება რამოდენიმე ახალი დრამები თანამედროვე ცხოვრების სიღრმიდან ამოღებული. საჭიროა კონკურსის და პრემიების დანიშვნა დრამატიულ ნაწარმოებებზე. საჭიროა დაარსდეს დრამატიული სახელოვნო, სადაც გადაკეთდება ზოგიერთი შინაარსით მისაღები დრამები.. აგრეთვე საჭიროა და აუცილებელიც თეატრალური ჟურნალის გამოცემა. ასეთი ჟურნალი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს თეატრს.

კიდევ ვიმეორებ, ყველა ამას შესძლებენ მხოლოდ ისინი, ვინც არიან ენერგიით სავსე, ვისშიაც არის ცხოვრების ახალი გაგება და ვინც სპეტაკი პიროვნებაა, რომელიც ხელოვნებას მეტ პატივს სცემს ვიდრე თავის თავს და თავის მეგობარს.

ჩვენს თეატრებში მალიარული ატმოსფერო არის და ის უნდა განიდევნოს; ამისათვის საჭიროა და უკვე დროც არის შეუდგეთ საქმეს.

იხინ.

წერილი რედაქციის მიმართ.

დღემდის არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი მხოლოდ ვადევნებდი თვალყურს ყველა იმ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოში.

დავრწმუნდი რა, რომ საქართველოს შემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევ. პარტია არის ერთად ერთი პარტია, რომელიც იბრძვის მშრომელთა კლასის ეროვნულ და სოციალისტურ ინტერესებისათვის, ამიტომ გადავწყვიტე გავხდე ამ პარტიის წევრი და ვიმუშაო საქართველოს მშრომელ მასსის საკეთილდღეოდ.

ვარლამ რაჟდენის ძე ჭალაგანიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ალმასკომის საფინანსო განყოფილება
ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოდ, რომ ხუთშაბათს, 10 მაისს, დღის 12 საათზე
ტფილისის ალმასკომის შენობაში
დანიშნულია საჯარო ვაჭრობა
ქალაქ. შეშის საწყობის № 1, რომელიც მდებარეობს რკინის გზის ლიანდაგთან იჯარით გასაცემად.
ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საფინანსო განყოფილებაში ოთახი № 15.
335 2—1
საფინანსო განყოფილების გამგე ვლ. ფიალკოვსკი.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებული
საქართველოში
აცხადებს
სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა მეპატრონეების, ტრესტების და სინდიკატების, დაწესებულების და ორგანიზაციების, რომლებიც ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ თავიანთი ანგარიშები (საკრედიტო დაწესებულებები, სააქციონერო და შორეული საზოგადოებები, კოოპერატივები და სხვა) და პირად სარეწავ საქმიანობის მქონე პირთ (საბირჟო მაკლერები, ექსპედიტორები, ნოქრები და სხვა)
საყურადღებოდ,
რომ ამიერ-კავკასიის ფინსახკომის განკარგულების თანახმად სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა შესანახად და პირად სარეწავ საქმიანობისათვის სარეწავი მოწმობების აღება მიმდინარე წლის პირველ ნახევრისათვის უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 15 მაისისა.
სარეწავი მოწმობების გაცემა ქ. ტფილისში მოხდება ხაზინიდან, სახალხო ბანკიდან და ცენტრალურ კასიდან,—დანარჩენ რესპუბლიკის ქალაქებში კი ხაზინებიდან.
334 1—1